საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004029

„02" ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი. მის: ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I შესახვევი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]" (ს/ნ 406305662) მის:
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
ქ. თბილისი, [illegible] №5, დირექტორი [redacted]
...ბელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – [redacted]
(მინისტრის 2018 წლის 1 მაისის №2-117
ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004029
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილე №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 10 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილი და ამავე კოდექსის 79^7 მუხლის შენიშვნა.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის [illegible] [illegible] - [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში): [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

2023 წლის 21 და 26 დეკემბერს განხორციელდა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში განთავსებული, შპს „ანტკელი"-ს (ს/კ 406305662) კუთვნილი ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 29 ივლისის №2-537 ბრძანებით გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

შპს „ანტკელი"-ს მიერ არ არის შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 29 ივლისის №2-537 **ბრძანების მეორე პუნქტით** დადგენილი ვალდებულება, კერძოდ, კომპანიამ არ უზრუნველყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის **მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით დადგენილი პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების დაცვა:**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტის შესაბამისად,** კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე შენობაში, სადაც ხორციელდება აკუმულატორების განთავსება, არ არის დაცული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული მოთხოვნები. კერძოდ, დაზიანებულია შენობის სახურავი, ნალექიანი ამინდების დროს ადგილი აქვს წყლის ჩამოდინებას და ინსპექტირების პროცესში შენობაში დაფიქსირდა გუბეები. ასევე, დადგინდა, რომ შენობაში სასაწყობე სათავსის იატაკი და კედლები არ არის მოპირკეთებული მჟავაგამძლე სითხეგაუმტარი ფენით, სასაწყობე სათავსოების იატაკის პერიოდული მორეცხვისათვის არ არის მოწყობილი საწრეტები, შესაბამისი მილგაყვანილობა და ნარცხი წყლების შემკრები;

1.2. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მჟავეების შესანახად **მოწყობილია 10 ტონიანი რეზერვუარი, ნაცვლად გზშ ანგარიშით განსაზღვრული 3 ტონიანი რეზერვუარისა.** ინსპექტირებისას აღნიშნულ რეზერვუარში განთავსებული იყო ნავთობპროდუქტებით და მჟავებით დაბინძურებული წყალი. ასევე, საწარმოს ტერიტორიაზე არ დაფიქსირდა 2 ცალი ფუტირებული (პლასტმასის) ავზი, რომელიც განხილულია გზშ ანგარიშში;

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.3. ინსპექტირების პროცესში საწარმოს ტერიტორიაზე **დაფიქსირდა 2 ცალი, თითო 1 ტონიანი დიზელის რეზერვუარი,** რომელიც არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

1.4. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ რევერბერული ღუმელის გვერდით, წიდის დასაგროვებლად, აგურებით შემოსაზღვრულია მცირე ტერიტორია, სადაც თავსდება ექსპლუატაციისას წარმოქმნილი წიდა. ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული წიდის გაციების პროცესში **წარმოქმნილი აირების შეკრების მიზნით, საწარმოში არ არის მოწყობილი შესაბამისი შემკრები სისტემა** და აღნიშნული აირები არ არის ჩართული საწარმოს აირგამწმენდ სისტემაში, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.5. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ანტკელი" საქმიანობას არ ახორციელებს გზშ ანგარიშში მოცემული სქემის შესაბამისად. კერძოდ, რევერბერულ ღუმელში დნობის **პროცესი მიმდინარეობს 11 საათი, ნაცვლად 8 საათისა.** ასევე, დნობა მიმდინარეობს 1100-1200^{0}C-ზე ნაცვლად 500 – 600^{0}C-სა. ასევე, აღნიშნულ პროცესში საერთოდ არ ხდება ტყვიის მტვერის დამატება, როგორც ეს მოცემულია გზშ ანგარიშში;

1.6. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ დოლურ ღუმელში ერთი ციკლის გამოდნობის პროცესი გრძელდება 8-9 საათი და არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულ ერთი ციკლის გამოდნობის დროს - 7 საათს;

1.7. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ანტკელი"-ს მიერ ყოველი დნობის შემდეგ არ ხდება წიდაში ტყვიის ოქსიდის შემცველობის ლაბორატორიული კვლევა და ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.8. გზშ ანგარიშის შესაბამისად, წიდასაყარი მოწყობილია საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით არსებულ შენობაში, რომლის ფართობია 500 m^2 და აღნიშნული შენობის იატაკი ბეტონის საფარითაა დაფარული. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია წიდასაყარი, რომლის იატაკი მობეტონებულია და გადახურულია, თუმცა შემოსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხრიდან;

1.9. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ტექნოლოგიური ციკლის წარმოებისას, თითოეული ღუმელი მოიხმარს 100 ლ/სთ-ში მეორად მაზუთს, ნაცვლად 90 ლ/სთ-ში, როგორც მოცემულია გზშ ანგარიშში;

1.10. შპს „ანტკელი"-ს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან არ აქვს შეთანხმებული მოქმედი „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი";

1.11. კომპანია კანონმდებლობის შესაბამისად, არ აწარმოებს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას;

1.12. შპს „ანტკელი"-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების და ტესტირების, ასევე გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.13. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების კონტეინერები;

1.14. შპს "ანტკელი", ხმაურის მონიტორინგს არ ახორციელებს გზშ ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად. ინსპექტირებისას ვერ იქნა წარმოდგენილი უახლოეს დასახლებული პუნქტის საზღვართან ჩატარებული ხმაურის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.15. კომპანიას არ აქვს შემუშავებული სამუშაო ქცევის კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის ინფორმირებას და ქცევის ნორმებს დადგენას;

1.16. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ავტომანქანის ძარაზე არ იყო დაგებული სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნივთიერებების დაჭერას დაღვრის შემთხვევებში;

1.17. კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მანქანა-დანადგარების, აირგამწმენდი სისტემის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფისა და მისი მუშაობის ეფექტურობის კონტროლის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.18. შპს „ანტკელი"-ს არ აქვს შემუშავებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებათა გეგმა.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **4.3 პუნქტის შესაბამისად,** შპს „ანტკელი" არ ახორციელებს მავნე ნივთიერებათა ემისიების კონტროლს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად. კერძოდ, ინსტრუმენტული გაზომვები არ არის ჩატარებული უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვართან (X – 499927; Y – 4603898). ასევე, გაზომვები არ არის ჩატარებული იმ პარამეტრებზე (ნივთიერებებზე), რომელიც განსაზღვრულია გზშ ანგარიშის შესაბამისად. ამავდროულად, კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კომპანიამ ჩაატარა გაზომვები სადობი ღუმელის (№1 და №2) სივრცეში ფორმალდეჰიდის, ბენზოლის და ტოლუოლის შემცველობაზე, თუმცა თუმცა გზშ ანგარიში, ატმოსფეროში გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა ჩამონათვალში არ ითვალისწინებს ზემოთმითითებულ ნივთიერებებს;

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **4.5 პუნქტის შესაბამისად,** კომპანია არ ახორციელებს ნარჩენების მართვას ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ:

3.1. არ აწარმოებს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმებს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

3.2. ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე;

3.3. საწარმოში არ არის დანერგილი სახიფათო ნარჩენების შეგროვების სეპარირებული სისტემა;

3.4. არ აწარმოებს სახიფათო ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგებას, ნარჩენებს მართვის ელექტრონულ სისტემაში;

3.5. შპს"ანტკელი"-ს საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში წარმოქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენი, თუმცა კომპანიას არ აქვს შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

3.6. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა ნავთობპროდუქტებით ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი. კომპანიის დირექტორის განმარტებით, ტერიტორიაზე დაღვრილია დაახლოებით 20-23 ლიტრი ნავთობპროდუქტი;

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **4.6 პუნქტის შესაბამისად,** არ უზრუნველყო სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება "სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად. ინსპექტირებისას, საწარმოს მეორე შენობაში და საწარმოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა სხვადასხვა სახის, როგორც სახიფათო ისე არასახიფათო ნარჩენები (ინერტული ნარჩენები, მინაბამბა, მაზუთის ნარჩენები);

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **4.7 პუნქტის შესაბამისად,** არ ახორციელებს ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორების მიღებას მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ კომპანია იღებს ელექტროლიტებისაგან დაუცლელ აკუმულატორებს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისაგან;

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **4.8 პუნქტის შესაბამისად,** იმ შემთხვევაში თუ ნარჩენი კოდით 10 04 01* (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) განკუთვნილია განთავსებისათვის, კომპანია ვალდებულია მათი საწარმოს ტერიტორიაზე შენახვა უზრუნველყოს 1 წელზე ნაკლები დროით, ხოლო თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისათვის მათი შენახვა განახორციელოს 3 წელზე ნაკლები დროით. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ წიდასაყარზე განთავსებული იყო 50-60 ტონა წიდა. კომპანიის დირექტორის განმარტებით, არ მომხდარა წიდის გატანა საწარმოდან განთავსების ან აღდგენის მიზნით. **შესაბამისად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენები განთავსებულია 1 წელზე მეტი ვადით;**

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

7. ასევე, გამოვლინდა **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტი. კერძოდ:**

7.1. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ანტკელი“ საწვავად **გამოიყენებს მეორად მაზუთს და მეორადი მაზუთის გამოყენება** არ არის განხილული გზშ ანგარიშში, რაც წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

ამასთან, ვინაიდან კომპანია საქმიანობის განხორციელების პროცესში ახდენს ნარჩენების აღდგენას (ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად, R1 კოდით განსაზღვრული აღდგენის ოპერაციაა - ნარჩენების საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერგიის მისაღებად), ენერგიის მიღების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 10.3 პუნქტის შესაბამისად, „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა“ წარმოადგენს სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობას, თუმცა როგორც ინსპექტირების შედეგად დადგინდა, შპს „ანტკელი“-ს არ მიუმართავს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის შესაბამისი პროცედურების გავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

7.2. შპს „ანტკელი“ ახორციელებს სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე.

8. შპს „ანტკელი“ ვალდებული იყო დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის უწყვეტი წარმოების მიზნით, საწარმოს გ-1 გაფრქვევის ორგანიზებულ წყაროზე, დაემონტაჟებინა გამზომი ხელსაწყოები/სინჯის ამღები და ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირების მიზნით, მიემართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის, რაც არ აქვს შესრულებული.

შპს "ანტკელი"-ს კუთვნილი საწარმოს ინსპექტირების დასრულების შემდგომ, 2023 წლის 21 და 26 დეკემბერს შედგა დათვალიერების შესახებ ინსპექტირების №012981 და №012958 აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 19 თებერვალს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილის და 76^1 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტაციული სამართალდარღვევის შესახებ №081272 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2024 წლის 22 თებერვლის №DES82400011479 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

სასამართლომ, 2022 წლის 15 ნოემბრის № 4-64-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 76^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ანტკელი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

2023 წლის 21 და 26 დეკემბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში განთავსებული, შპს „ანტკელი"-ს (ს/კ 406305662) კუთვნილი ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 29 ივლისის №2-537 ბრძანებით გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად **შპს „ანტკელი" ვალდებულია**:

1. საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად (2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტი**), მათ შორის:

   1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, შენობაში, სადაც ხდება აკუმულატორების განთავსება, დაზიანებული შენობის სახურავის შეკეთება, იატაკის და კედლების მოპირკეთება მჟავაგამძლე სითხეგაუმტარი ფენით. ასევე, სასაწყობე სათავსოების იატაკის პერიოდული მორეცხვისათვის საწრეტების, შესაბამისი მილგაყვანილობის და ნარეცხი წყლების შემკრების მოწყობა;

   1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** რევერბერული ღუმელის გვერდით აგურით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე (სადაც თავსდება წარმოქმნილი წიდა), წიდის გაციების პროცესში წარმოქმნილი აირების შეკრებისა და საწარმოს აირგამწმენდ სისტემაში მათი ჩართვის მიზნით, მოაწყოს შემკრები სისტემა;

   1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს **რევერბერულ ღუმელში** ტყვიის დნობის (ერთი ციკლი) პროცესის განხორციელება გზშ ანგარიშის შესაბამისად (8 საათის განმავლობაში და 500-600^{0}C ტემპერატურაზე);

   1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს ტყვიის მტვრის დამატება/უკან დაბრუნება, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

   1.5 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს, დოლურ (მბრუნავ) ღუმელში** დნობა გზშ ანგარიშის შესაბამისად (ერთი ციკლი 7 საათის განმავლობაში);

   1.6 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, გზშ ანგარიშში განხილული 2 ცალი ფუტირებული (პლასტმასის) ავზის მოწყობა;

2024 წლის 2 სექტემბრის №004029 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

1.7 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, ყოველი დნობის შემდეგ, წიდაში ტყვიის ოქსიდის შემცველობის ლაბორატორიული კვლევა, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.8 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით, 500 m^2 ფართობზე, მოეწყობილი წიდასაყარის შემოსაზღვრა ოთხივე მხრიდან, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.9 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, ერთი ტექნოლოგიური ციკლის განმავლობაში ღუმელში საჭირო ტემპერატურის მისაღწევად, **საათში 90 ლ. მაზუთის გამოყენება,** გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.10 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ, საქმიანობის განხორციელების პროცესში, **მუდმივად უზრუნველყოს პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფქვევის ნორმების შესრულება;**

1.11 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად, კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით,** უზრუნველყოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება ("პად-1", "პად-2", "პად-3" ფორმები), „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;

1.12 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ჩაატაროს და შემდგომ** გზშ ანგარიშის მონიტორინგის გეგმის თანახმად, უზრუნველყოს, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვართან **ხმაურის მონიტორინგი;**

1.13 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა, ასევე უზრუნველყოს აირგამწმენდი სისტემის ტექნიკური გამართულობა და მისი მუშაობის ეფექტურობის პერიოდული კონტროლი „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №21 დადგენილების შესაბამისად;

1.14 ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** ტვირთის გადაზიდვა, ძარაზე დაგებული სითხეგაუმტარი ტევადი გეომემბრანის მქონე ავტომანქანებით, რომელიც უზრუნველყოფს გოგირდის ორჟანგის დაღვრისას დაჭერას მანქანის ძარაზე;

1.15 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** შეიმუშაოს სამუშაო ქცევის კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის

ინფორმირებას და ქცევის ნორმების დადგენას; შემდგომში, მუდმივად უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება სამუშაო ქცევის კოდექსის შესაბამისად;

1.16 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება გზშ ანგარიშის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს შემდგომ საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს** კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჰაერის ხარისხის მონიტორინგის (კვარტალში ერთხელ) წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, გზშ ანგარიშის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმისა და შემარბილებელი ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად. მათ შორის განახორციელოს ინსტრუმენტული გაზომვები უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვართან და ასევე უზრუნველყოს გაზომვების ჩატარება იმ ნივთიერებებზე, რომელიც განსაზღვრულია გზშ ანარიშის შესაბამისად (2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.3 ქვეპუნქტი**);

3. ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად, (2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.5 ქვეპუნქტი**), მათ შორის:

3.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით, უზრუნველყოს, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების აღრიცხვა/ანგარიშგება და ტრანსპორტირების ფორმების წარმოება;

3.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge), გაიაროს საქმიანობის რეგისტრაცია, ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე;

3.3 დანერგოს ნარჩენების მართვის სეპარირებული სისტემა, რისთვისაც, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის, საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის კონტეინერების განთავსება;

3.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

3.5 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება, ასევე

საწარმოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისგან (ინერტული ნარჩენი, მინაბამბა, მაზუთის ნარჩენი) ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო **სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა** განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება "სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად (მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.6 ქვეპუნქტი);**

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს საწარმოში განთავსებული** 50-60 ტონა წიდის (ნარჩენის კოდი: 10 04 01*) ტერიტორიიდან გატანა, ხოლო მათი მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.8 ქვეპუნქტი**);

6. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს **მხოლოდ ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორების მიღება** შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან (2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების **მე-4 პუნქტის 4.7 ქვეპუნქტი);**

ამასთან, ვინაიდან განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანია საქმიანობას ახორციელებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე **(იხ. №004028 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის პირველი პუნქტის 1.2, 1.3, 1.5, 1.6, 1.9 ქვეპუნქტები, მე-5 პუნქტი, მე-7 პუნქტის 7.1 და 7.2 ქვეპუნქტები),** შპს „ანტკელი“ ვალდებულია **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით,** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით.